XIV დანართის დამატება 3

მუხლში 6.4 მოხსენიებული

ლიხტენშტაინის დათქმები

ლიხტენშტაინი

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	*Gewerbegesetz* (კანონი ვაჭრობის შესახებ) 10 დეკემბერი 1969 წელი, LR (ლიხტენშტაინის სამართლის სისტემური კრებული) 930.1 და შესაბამისი კანონები, როგორც ეს აღნიშნულია აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის 1 პუნქტში, აგრეთვე პარლამენტის ან მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებები.
ღონისძიების მოკლე აღწერა:	იურიდიული პირის მიერ კომერციული წარმომადგენლობის (მათ შორის, ფილიალების) დაფუძნება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს (პროპორციულად წარმოდგენილი ეროვნული და უცხოური კაპიტალი; უცხოელებისა და მუდმივი მოსახლეობის რაოდენობი დაბალანსებული თანაფარდობა; ეკონომიკაში სამუშაო ადგილების მთლიანი რაოდენობის დაბალანსებული თანაფარდობა მუდმივი მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით; დაბალანსებული გეოგრაფიული მდგომარეობა; ეროვნული ეკონომიკის დაბალანსებული განვითარება სექტორებში და სექტორებს შორის).
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	უზრუნველყოფილ იქნას ეროვნული ეკონომიკის დაბალანსებული განვითარება ქვეყნის კონკრეტული გეოგრაფიული მდგომარეობის, მისი შეზღუდული რესურსებისა და მცირე შრომის ბაზრის გათვალისწინებით.

ლიხტენშტაინი

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	*Gewerbegesetz* (კანონი ვაჭრობის შესახებ) 10 დეკემბერი 1969 წელი, LR 930.1; *Personen- und Gesellschaftsrecht* (კანონი კომპანიების შესახებ) 20 იანვარი 1926 წელი, LR 216.0.
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ფიზიკური პირის მიერ კომერციული წარმომადგენლობის დაფუძნებისთვის აიცილებელია, რომ დაფუძნებამდე პირი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდეს ლიხტენშტაინში და ამ ქვეყანაში ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. იურიდიული პირის (მათ შორის, ფილიალების) მიერ კომერციული წარმომადგენლობის დაფუძნება ექვემდებარება შემდეგ მოთხოვნებს: მინიმუმ ერთ–ერთმა მენეჯერმა მაინც უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა ლიხტენშტაინში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ადმინისტრატორების (იურიდიული პირის მართვაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი) უმრავლესობა უნდა იყვნენ ლიხტენშტაინის მუდმივი მაცხოვრებლები და იყვნენ ლიხტენშტაინის მოქალაქეები ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა იყვნენ ნაცხოვრები ლიხტენშტაინში. სოლიდარულმა პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა და კომანდიტურმა საზოგადოებებმა იგივე პირობები უნდა დააკმაყოფილონ, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაციებმა (იურიდიული პირი). გარდა ამისა, პარტინიორების უმრავლესობა უნდა იყოს ლიხტენშტაინის მოქალაქე ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა იყვნენ ნაცხოვრები ლიხტენშტაინში. ლიხტენშტაინის კანონი კომპანიების შესახებ არ უკრძალავს სააქციო საზოგადოებებს თავიანთ წესდებაში გაითვალისწინონ სახელობითი აქციების გადაცემის აკრძალვა ან შეზღუდვა.

ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	სასამართლო წარმოებისთვის ხელშეწყობა.

ლიხტენშტაინი

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	*Grundverkehrsgesetz* (კანონი უძრავი ქონების შეძენის შესახებ), 9 დეკემბერი 1992 წელი, LR 214.11.
ღონისძიების მოკლე აღწერა:	უძრავი ქონების ნებისმიერი შეძენა უნდა მოხდეს ნებართვის საფუძველზე. ასეთი ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია ფაქტობრივი და დადასტურებული საჭიროება უძრავი ქონების საცხოვრებლად ან ბიზნეს მიზნებისათვის შესაძენად და მოთხოვნა გარკვეული პერიოდის მანძილზე ქვეყანაში ცხოვრების შესახებ უკვე შესრულებულია. არარეზიდენტებს არ აქვთ უძრავი ქონების შეძენის უფლება.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	არსებული მიწის უკიდურესი სიმწირე. მკვიდრი მოსახლეობისათვის უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობისა და დაბალანსებული გეოგრაფიული მდგომარეობის შენარჩუნება.

ლიხტენშტაინი

სექტორი:	ენერგეტიკის სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	მონაცემები არ არის
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ლიხტენშტაინი იტოვებს უფლებას ძალაში დატოვოს ან მიიღოს ნებისმიერი ღონისძიება ენერგეტიკის სექტორთან მიმართებაში.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	ენერგეტიკის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.